დეზინფორმაციის გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე სოციალურ ქსელებში საქართველოს მაგალითზე

მარი სონიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინი იმერლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი ,,დეზინფორმაციის გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე სოციალურ ქსელებში საქართველოს მაგალითზე“ წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად“.

მარი სონიშვილი

19/06/2025

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, კვლევის განხორციელების პროცესში გაწეული დახმარებისთვის და ასევე კვლევაში მონაწილე თითოეულ ადამიანს, თავიანთი აზრის დაფიქსირებისთვის.

აბსტრაქტი

დეზინფორმაცია 21-ე საუკუნის ციფრულ ეპოქაში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როდესაც სოციალური მედია გადაიქცა ინფორმაციის მიღებისა და საზოგადოებრივ საკითხებზე აზრის ფორმირების პირველწყაროდ. განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ ვლინდება სოციალური მედიის სწრაფი ზრდის, მედიაწიგნიერების დაბალი დონისა და პოლიტიკური პოლარიზაციის ფონზე. ნაშრომი მიზნად ისახავს დეზინფორმაციის ზემოქმედების ანალიზს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე საქართველოს კონტექსტში.

კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიას და აერთიანებს რაოდენობრივ (303 რესპონდენტი) და თვისებრივ (5 ინტერვიუ) მონაცემთა ანალიზს. რაოდენობრივი კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველდღიურ რეჟიმში აწყდება სოციალურ მედიაში გავრცელებულ ცრუ ან მანიპულაციურ ინფორმაციას, რაც ხშირად პირდაპირ ან ირიბად ზეგავლენას ახდენს მათ პოლიტიკურ და სოციალურ შეხედულებებზე. თვისებრივი ინტერვიუები კი ადასტურებს, რომ დეზინფორმაციული გზავნილები ქმნიან საზოგადოებაში უნდობლობის ატმოსფეროს როგორც მედიის, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.

დადასტურდა, რომ დეზინფორმაცია არამხოლოდ ცვლის ინდივიდუალურ წარმოდგენებს, არამედ ხელს უწყობს სოციალურ პოლარიზაციასა და პოლიტიკური დაპირისპირების გაღრმავებას, რაც საბოლოოდ არღვევს საზოგადოებრივ თანხმობას. სოციალური ქსელების არარეგულირებული ბუნება, ფაქტების გადამოწმების დაბალი კულტურა და ბოტების მეშვეობით წარმოებული ინფორმაციული მანიპულაციები, ქმნის რისკიან გარემოს საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციისთვის.

ნაშრომის ძირითადი დასკვნაა, რომ დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ ტექნოლოგიური რეგულაციებით ვერ მიიღწევა. საჭიროა გრძელვადიანი განათლებაზე დაფუძნებული სტრატეგიები, მედია წიგნიერების სისტემური

გაძლიერება და სანდო მედიაპლატფორმების ხელშეწყობა, რათა ხელი შევუწყოთ ჯანსაღი და კრიტიკულად მოაზროვნე საზოგადოების ჩამოყალიბებას. ამ გზით შესაძლებელი იქნება როგორც ინდივიდუალური ინფორმაციული თავდაცვის გაძლიერება, ასევე საზოგადოებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დეზინფორმაცია, საზოგადოებრივი აზრი, სოციალური მედია, Facebook, მედიაწიგნიერება, საქართველო.

Abstract

Disinformation has become one of the main challenges in the digital era of the 21st century, especially in the situation where social media has become the primary source of information and opinion formation on public issues. Especially in developing countries, such as Georgia, this problem is even more acute against the background of the rapid growth of social media, low levels of media literacy and political polarization. The paper aims to analyze the impact of disinformation on public opinion formation in the Georgian context.

The study is based on a mixed methodology and combines quantitative (303 respondents) and qualitative (5 interviews) data analysis. The results of the quantitative study show that a significant part of citizens are daily exposed to false or manipulative information spread on social media, which often directly or indirectly affects their political and social views. Qualitative interviews confirm that disinformation messages create an atmosphere of distrust in society towards both the media and state institutions.

It has been proven that disinformation not only changes individual perceptions, but also contributes to social polarization and deepening political confrontation, which ultimately violates public consent. The unregulated nature of social networks, the low culture of fact-checking and information manipulations carried out through bots create a risky environment for the manipulation of public opinion.

The main conclusion of the paper is that the fight against disinformation cannot be achieved through technological regulations alone. Long-term education-based strategies, systematic strengthening of media literacy and the promotion of reliable media platforms are needed to promote the formation of a healthy and critically thinking society. In this way, it will be possible to strengthen both individual informational defense and ensure public stability.

Keywords: disinformation, public opinion, social media, Facebook, media literacy, Georgia.